ბანთიადი

III კლასი

2022 წელი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

ქართულის მასწავლებელი _____

ჭიანჭველა ჭინჭველას

ზურგზე პური ჰკიდია,

პური ჭიანჭველაზე

ოთხჯერ უფრო დიდია.

დავალება რომელიც ფასდება 2 ქულით

1. როგორი მწერია ჭიანჭველა?

   ა) მშრომელი ბ) ზარმაცი გ) მძინარა დ) უქნარა

დავალება რომელიც ფასდება 3 ქულით

2. სად არ ჩანს ჭიანჭველას სიძლიერე?

   ა) ჭიანჭველას პური მიაქვს.

   ბ) ჭიანჭველას ზურგზე პური აქვს მოკიდებული.

   გ) პური ოთხჯერ დიდია ჭიანჭველაზე

   დ) ჭიანჭველა უფრო დიდია ვიდრე პური.

დავალებები რომელიც ფასდება 5 ქულით

3. რამდენი მარცვალია სიტყვაში „ჭიანჭველა“?

   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი დ) ოთხი

4. მოცემულ ლექსში რამდენი სიტყვაა ორმარცვლიანი?

   ა) ექვსი ბ) ხუთი გ) ოთხი დ)სამი

დავალებები რომელიც ფასდება 7 ქულით

5. რომელ სიტყვაშია მეტი მარცვალი? „**ჭინჭველა**“ თუ „**ჭიანჭველა**“
   ა) ჭინჭველა ბ) ჭიანჭველა გ) ერთნაირი რაოდენობის მარცვლებია
   დ) მარცვალი არ არის არცერთ სიტყვაში

წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს

დაბნეული ბებო

ბებოს ეს რა დაჰკარგვია?
რას დაეძებს ასე გვიან?
ის სათვალეს ეძებს, ეძებს
სკივრში, ქვაბში, სკამზე, სხვენზე.

ბერტყავს ბალიშს, ბერტყავს საბანს
ქექავს უჯრებს, ფერთხავს კაბას.
სათითაოდ ფურცლავს წიგნებს-
სადმე წიგნში ჩარჩა იქნებ.

წაღებშიც,ქურთუკში ნახა,
ძაღლს გაუღო ძალით ხახა,
ბოლოს ხვრელსაც მიაკითხა,
ჩაითრია იქნებ ვირთხამ?

გადაქექა ფუთაც, მორჩა-
არსადაა, არსად მოჩანს!
სად ეძებოს სადღა ნახოს,
სარკეს ჩაუარა ახლოს,

გადაისვა თავზე ხელი,
-სად ყოფილა საძაგელი!
ამდენ ხანს რომ ეძებს, ეძებს,
სკივრში, ქვაბში, ხვრელში, სხვენზე,

აი ნახეთ სად წასულა -
თურმე ... დასკუპულა!

6. რომელი სიტყვა უნდა ეწეროს ლექსში სამი წერტილის ნაცვლად?
   ა) სარკესთან ბ) თავზე გ) ჯიბეში დ) ცხვირზე

7. სად მიხვდა ბებო თუ სად იყო სათვალე ?
   ა) სხვენზე ბ) წიგნთან გ) სარკესთან დ) სკივრთან

დავალებები რომელიც ფასდება 8 ქულით

8. ვის აბრალებდა ბებო სათვალის დამალვას?
   ა) კატას ბ) ძაღლს გ) ცხვარს დ) ქათამს

9. რატომ გაუჭირდა ბებოს სათვალის მოძებნა?

ა) სათვალე ვირთხამ დამალა.

ბ) სათვალე წიგნში დარჩა,

გ) სათვალეს ვერ ხედავდა, რადგან თავზე ჰქონდა.

დ) სათვალე საბანში დაიმალა.

10. მოიფიქრეთ რომელი წინადადება გადმოსცემს ლექსის შინაარსს ყველაზე კარგად.

ა) ბებოს სათვალე დაეკარგა და დიდხანს ეძებდა.

ბ) ბებო სათვალეს ეძებდა სკივრში,ქვაბში, სკამზე, სხვენზე, უჯრებში, ტანსაცმელში, წიგნებში, ხვრელში, მაგრამ ვერსად მოძბნა.

გ) ბებოს სათვალე დაეკარგა, სად აღარ ეძება, მაგრამ ვერსად მოძებნა. სათვალე, კი თავზე ჰქონდა.

დ) ბებო სარკესთან მივიდა და დაინახა, რომ სათვალე თურმე თავზე ჰქონია.

დავალებები რომელიც ფასდება 10 ქულით

11. რამდენი კითხვითი წინადადებაა ტექსტში?

ა) ორი ბ) ოთხი გ) სამი დ) არცერთი

12. როდის არ აღნიშნავს არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს?

ა) როცა ერთი და მეტი საგანია.

ბ) როცა ორზე მეტი საგანია.

გ) როცა ოცზე მეტი საგანია.

დ) როცა ორი და მეტი საგანია.

13. განმარტე სიტყვა „სხვენი“

ა) პატარა ოთახი ბ) ოთახი აივანზე გ) ოთახი სახურავზე

დ) შენობის ჭერსა და სახურავს შორის დარჩენილი ადგილი

14. რამდენი სულიერი არსებითი სახელია მოცემულ წინადადებაში?

დათვმა, კურდღელმა, მგელმა და მელამ სახლის აგება გადაწყვიტეს.

ა) ოთხი ბ) სამი გ) ორი დ) ერთი